1888 წელსა, № 1 1—15 იანვარს.

# მწყემსი

1883-1888

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

| «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 5 მან. | 12 თვით | 6 მან. |
| 6 — | 3 — | 6 — | 4 — |

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Квирилы, Въ едакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატეა, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## ახალი 1888 წელიწადი.

ახალს წელიწადს, ჩვენის აზრით, აქვს და უნდა ჰქონდეს თვითეული კაცის სიცოცხლეში პედაგოგიური, აღმზრდელობითი მნიშვნელობა, და თუ მასს, ახალს წელიწადს, ჩვენ ამ მხრით შევხედავთ, მაშინ უპირველეს ყოვლისა, მოგილოცავთ რა, საყვარელო მკითხველო, ახალს წელს, უნდა გირჩიოთ ანგარიში მისცეთ თქვენს თავს შესახებ თქვენის ქცევისა, მოქმედებისა, თითქმის აზრებისა, შესახებ სურვილთა და ლტოლვილებათა, რომელნიც თქვენ გამოსცადეთ წარსულ წელში. როცა თქვენ ესე კრიტიკულად გადაათვარიელებთ წარსულს წელში თქვენგნით განვლილ დროს, და როცა შეიტყობთ, თუ რამ მოგანიჭათ თქვენ ბედნიერება, რამ წასწია წინ თქვენი ცხოვრება, რამ აღგამაღლა თქვენ ზნეობრივად, მხოლოდ მაშინ მიეგებეთ ახალს წელიწადს და განარინეთ, უარ-ჰყავით ყველა ის, რასაც შემოჰქონდა თქვენს ცხოვრებაში მწუხარება და განხეთქილება, რაც რჰყვნიდა და ამდაბლებდა თქვენს სულს და მასთან აღთქმა დაუდეთ თქვენს თავს, რომ ამ ნაკლთ უსათუოდ გაასწორებთ ამ ახალს წელში. თუ თქვენ ახალს წელს შეხვდებით ასე ფხიზლად, შეგნებულად, თუ ასე კრიტიკულად გასინჯავთ წარსულს წელში თქვენს მოქმედებას და ცხოვრებას, მხოლოდ მაშინ თქვენ შეეგებებით ახალს წელს როგორც გონიერი და დარბაისელი კაცი; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თქვენთვის ჯერ კიდევ არ დამდგარა ახალი წელიწადი და, მართლა, განა ცოტანი არიან ისეთი გულ-გრილნი პირნი, ყველაფრის ზიზღით შემაცქერალნი ადამიანები, რომელთათვისაც, თუმცა იგინი აგერ რამდენიმე ათი წელიწადი სცხოვრობენ დედა-მიწაზე, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ერთხელაც არ გათენებიათ ახალი წელიწადი. კაცმა ყოველთვის უნდა განიცადოს და განიკითხოს თავის-თავი და თავის მოქმედება, რადგან ასეთი განცდა და განკითხვა არის უნამდვილესი საშუალება ჩვენი თავის განვითარებისა, მაგრამ ამისთანა განცდა და განკითხვა ისე მოსწრებული და შესაფერი არას დროს არ არის, როგორც ახალი წლის წინ.

ახალს წელიწადს საზოგადოდ მიღებულია ერთმანერთის მილოცვა ახალის ბედნიერებით. დიახ, ბედნიერების წადილი თავისათვის არის საზოგადო, თანშობილი მიდრეკილება, რომელიც აუცილებლად წარმომდინარეობს თვით-არსებობის გრძნობისაგან: ჩვენ ყველანი

ვეძებთ, ყველანი ვესწრაფვებით და ვეტანჯებით ბედნიერებას, მაგრამ, საუბედუროდ, ძრიელ ცოტანი აღწევენ ბედნიერებას. რატომ? მიტომ, რომ ბევრნი იქ ეძიებენ ბედნიერებას, სადაც იგი ბედნიერება არ არსებობს. ზოგი ბედნიერებას ეძიებს სიმდიდრეში, ზოგი სამსახურით დაწინაურებაში და თავის-თავის პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებაში, ზოგი სხვა-და-სხვა ამაოდ-შექცევაში და დროს გატარებაში და სხვ., მაგრამ ნუ თუ ესენი არიან ჭეშმარიტნი წყარონი ჩვენი ნამდვილი ბედნიერებისა? სრულიადაც არა, ვინაიდგან გამოცდილებით ვიცით, რომ მდიდარნი, პატივის-მოყვარენი და ამაოდ-შექცევის მაძიებელნიც ბოლოს ზიზღით იგონებენ ხოლმე ძველ წლებში მათგან განვლილ ცხოვრებას და გულ-გრილად და უკმაყოფილებით შეჰყურებენ მას. მაშ რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი ბედნიერება? ჭეშმარიტი ბედნიერება მდგომარეობს მასში, როცა კაცი მუდამ, განუწყვეტლად მეცადინობს, რათა თავის გონებაში და გულში აღამაღლოს და აღზარდოს სიყვარული ღვთისა და მოყვასისადმი და ესრეთი სიყვარული გამოიჩინოს კეთილი და ღვთისსათნო საქმეებით და ქრისტიანული ცხოვრებით და მოქმედებით. უკეთუ კაცში მტკიცედ აქვს ფესვი გადგმული ღვთისა და მოყვასისადმი სიყვარუს, თუ კაცში მუდამ და დაუქრობლივ ანთია ცეცხლი ქრისტიანული სიყვარულისა, მაშინ კაცს ყოველთვის ატკბობს მისი სინიდისის სიმშვიდე, მშვიდობა სულისა, შეგნებულება ადამიანის უმაღლესის თვისებისა — და ყოველივე ესე ხომ ნამდვილი ნიშნებია კაცის ჭეშმარიტი ბედნიერებისა. რას შეუძლია ბედნიერ ჰყოს კაცი, თუ მას არა აქვს სიმშვიდე სინდისისა, სულიერი მშვიდობა და არ იცის თავის უმაღლესი დანიშნულება? ამიტომ მოგილოცავთ ახალს წელს, საყვარელნო მკითხველნო, და ვისურვებთ თქვენთვის სწორედ ამ გვარ ბედნიერებას.

გარდა ამისა ჩვენ კიდევ გვაქვს ყველა მკითხველებთან და, განსაკუთრებით, ჩვენ თანამოძმეებთან ერთი მისალოცავი: მოგილოცავთ თქვენ ახალს ექსარხოსს, მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას პალლადის. გაისმა თუ არა ხმა მათი მეუფების საქართველოს საექსარხოსო კათედრაზე დანიშვნისა, ჩვენ დაწვრილებით გამოვსთქვით მთელი საქართველოის და განსაკუთრებით მთელი სამღვდელოების ნატვრანი და მოლოდინი, რომელსაც მოელიან ხოლმე ექსარხოსებისაგან და რასაც მოელოდნენ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის პალლადისაგან — და აი მათი მეუფება უკვე აქ ბრძანდება და მათი ნაყოფიერი, მშვიდობიანი, კაცთ-მოყვარული და ენერგიული მოქმედება და მოღვაწეობა ყველას თვალ საჩინოდ გვიმტკიცებენ, რომ, ჩვენდა სასიხარულოდ, ყველა ნატვრანი ჩვენი და მოლოდინი სრულებით მართლდებიან.

ერთი სასიამოვნო ამბავი კიდევ ჩვენ მკითხველთა და ჩვენი გამოცემის თანამგრძნობთათვის: ჩვენს გამოცემას, რომელიც როგორც დღემდის, ისე შემდეგშიაც საექსარხოსოის ოფიციალურ ორგანად რჩება, მათმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ აღუთქვა თავის მხრით მწყემსთ-მთავრული დახმარება და შემწეობა. ჩვენ, მათი მეუფების დახმარებით და მფარველობით გამხნევებულს, ამ ახალი წლიდამ გვეძლევა ღონე, რომ ჩვენი გამოცემა კიდევ გავაუმჯობესოთ და შევიძლოთ ამ მძიმე საქმის კეთილად წაყვანა.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

## იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების მე 25 შეკრებილება ქალაქ ქუთაისში.

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ წარსული თთვის დეკემბრის 20, 21 და 22 რიცხვებში დანიშნული იყო ქ. ქუთაისში იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების კრება. უმთავრესი საგანი კრებისა იყო ორი ათას ორას ოცი მანეთის შეტანა სამღვდელოების მხრით სასულიერო სასწავლებლის შესანახავად გარდა იმ ხარჯისა, რომელსაც ეს სამღვდელოება ყოველ წლობით ეწევა თავის სასწავლებლის შესანახავად. დღემდის იმერეთის საეკკლესიო ხაზინიდამ იმერეთის სამღვდელოებას ეძლეოდა ყოველ წლობით მათი სასულიერო სასწავლებლის ოთხი ნორმალური კლასების შესანახავ ხარჯს გარდა კიდევ ორი ათას ორას ოცი მანეთი პანსიონის შესანახავად, სასწავლებლის შენობის შესაკეთებლად და სასწავლებლის წიგნთ-საცავის გააუმჯობესებლად. დღეს კი ეს ორი ათას ორას ოცი მანეთი უწმიდესმა სინოდმა დაადვა ხარჯად თვით სამღვდელოებას, რადგან იმერეთის საეკკლესიო ხაზინის ფულმა აღარ დაჰფარა ეპარქიის ყველა გასავალი.

20 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, შეიკრიბა იმდენი დეპუტატი, რომ კრების გახსნა შეიძლებოდა. ა

კრებამ ერთხმად აღირჩია თავს-მჯდომარედ ქუთაისის საკათედრო ტაძრის მღვდელი ბლაღოჩინი იოსებ ჭეიშვილი და საქმის მწარმოებლად ბლაღოჩინი მიხეილ მჭედლიძე. ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა დაამტკიცა ისინი თანამდებობაზე და შემდეგ მათი მეუფება შემობრძანდა კრებაში. თუმცა ამ კრების უმთავრესი საგანი ყოვლად უსამღვდელოესს ეპისკოპოსს გაბრიელს საკმაოდ განმარტებული ჰქონდა თავის მიწერილობაში ბლაღოჩინებისადმი, მაგრამ მათმა მეუფებამ კიდევ განუმარტა კრებას თავის მიწერილობა. «მე, ბრძანა ყოვლად სამღვდელომ, გარდაწყვეტილი მქონდა ორი დასაწყისი და ორი მეორე მოსამზადებელი კლასების დახურვა, რადგან პატარა ბავშვები, რომლებსაც მშობლებს ჩამოჰყავთ ამ კლასებში შესაყვანად, და რომელთაც ცუდ ბინებზე აყენებენ, ნახევრობით გონებით და ზნეობით ფუჭდებიან, რადგან პატარა ბავშვები სასწავლებლის გარეშე მოკლებულნი არიან საჭირო ზედამხედველობას. გარდა ამისა ამ მოსამზადებელი კლასების დახურვა საჭიროდ მიმაჩნია იმიტომაც, რომ ხარჯი შეგვიმოკლდებათ და ახალი ხარჯის გაწერა საჭირო აღარ იქნება. მაგრამ, როცა ამ მოსამზადებელი კლასების დახურვაზე მოველაპარაკე მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს ახალს ეგზარხოსს პალლადის, მათმა მეუფებამ მირჩია მარტო ორი დასაწყისი მოსამზადებელი კლასის დახურვა, რადგან მეორე მოსამზადებელი კლასის დახურვით მეტი ხარჯი მოუვა უმისოდაც ღარიბ სამღვდელოებასა, რადგან უმეტეს მათგანს თვითონ არ შეეძლებათ შვილების შინ მომზადებაო. ამიტომ დარჩეს მეორე მოსამზადებელი კლასის ორი განყოფილება, ხოლო ორი დასაწყისი მოსამზადებელი კი უსათუოდ დახურეთ, რადგან დღეს ღვთის მადლით სასოფლო და სამრევლო სკოლები შესამჩნევად გამრავლდენ სოფლებში და სამღვდელოებას ადვილად შეუძლია თავის შვილების ამ სკოლებში მომზადება მეორე მოსამზადებელი კლასისათვის». გარდა ამისა ყოვლად სამღვდელომ დეპუტატებს მისცა ზოგიერთი მწყემ-თ-მთავრული დარიგება და შინ წაბრძანდა. ყოვლად სამღვდელოს წაბრძანების შემდეგ კრება შეუდგა იმ მეტი ხარჯის, 2220 მანათის წყაროს გამონახვას. ბევრი სძებნეს წყაროები, მაგრამ ვერავითარიმე წყარო მათ ვერ მონახეს. მეტი ხარჯის გაწერა კი არა სურდათ. ამიტომ განიძრახეს ყოვლად სამღვდელოს სიტყვიერი რჩევის წინააღმდეგ ოთხი მოსამზადებელი კლასის დახურვა თანახმად მათი მეუფების მიწერილობისა და წინადადებისა მებრ სასწავლებლის სამმართველოს თავს-მჯდომარისა, რომ ამ კლასების შესანახავად დანიშნული ხარჯით შეევსოთ ახლად მოთხოვნილი ხარჯი. ამ საგნის შესახებ დეპუტატები გაიყვნენ ორ დასად. პირველი დასი თხოულობდა მხოლოდ დასაწყისი ორი მოსამზადებელი კლასების დახურვას, ხოლო მეორე დასი თხოულობდა ოთხივე მოსამზადებელი კლასების დახურვას. დეპუტატმა, ბლაღ. იოსებ წერეთელმა სთქვა შემდეგი: «ჩვენს სამღვდელოებას ძვირად დაუჯდება ამ მოსამზადებელი კლასების დახურვა, რადგან სამღვდელოების უმეტეს ნაწილს ოჯახებში შვილების მომზადება არ შეუძლიათ და რაც შეეხება სასოფლო და საეკკლესიო სკოლებს, უნდა ვსთქვა გამოტეხილად, რომ არც ეს სკოლები არიან დღეს ისე დაყენებულნი, რომ მათში შვილების მომზადება შეიძლოს სამღვდელოებამ. სასოფლო სკოლებიც არ არიან დღეს სასურველს მდგომარეობაში. ბევრგან საზოგადოება მისგან დიდის ხარჯით და წვალებით აღშენებულს სკოლებს ხურავს და ზოგან კიდეცა სწვავს მათ, რადგან ვერავითარიმე ნაყოფს ვერ ხედავს ამ სკოლებიდგან. ესეც რომ არ იყოს, სასოფლო სკოლების პროგრამმა სრულებით არ ეთანხმება სასულიერო სასწავლებლების მოსამზადებელი კლასების პროგრამმასა». შემდეგ მ. წერეთელმა ამას ისიც დასძინა, რომ მას მისი მარწმუნებელი სამღვდელოებისაგან დაბარებული აქვს, რომ არას გზით არ დახურონ არცერთი მოსამზადებელი კლასი და თუ მაინცა-და მაინც დახურავთო, დახურეთ ორი დასაწყისი მოსამზადებელი კლასიო. ამავე აზრისანი იყვნენ ზოგიერთი სხვა დეპუტატებიც. ამ სადაო კითხვის გადასაწყვეტად ჰყარეს კენჭი. ორი დასაწყისი მოსამზადებელი კლასების დახურვის მომხრე იყო 14 დეპუტატი, ხოლო ოთხი მოსამზადებელი კლასებისა—15 დეპუტატი.

იმ დეპუტატებში, რომელთაც ოთხი მოსამზადებელი კლასების დახურვა გადასწყვიტეს, იყვნენ ბევრნი ისეთები, რომელთაც ან სრულებით არა ჰყავთ შვილები და, ან თუ ჰყავთ, მოსამზადებელ კლასებში არა ჰყავთ შესაყვანი. ამ კითხვის ასე გადაწყვეტაში, ჩვენის ფიქრით, ნამეტანავად იმოქმედა თავს-მჯდომარის სიტყვებმა: მ. თავს-მჯდომარემ ისე დაუხატა სამღვდელოებას ეს ოთხი მოსამზადებელი კლასები, რომ, ვითომ, მათში არა კეთდებოდეს რა იმდენი, რაც მათ შენახვაზე ეხარჯება სამღვდელოებას. ჩვენ გაგვაკვირვა მისმა სიტყვებმა, მით უმეტეს, რომ ის თვითონ რამდენიმე წელიწადს ასწავლიდა მოსამზადებელ კლასებში.

21 დეკემბერს, დილით ორშაბათს, გამოცხადდენ ის დეპუტატებიც, რომელნიც წინა დღით ვერ მოვიდენ, რადგან ოცი რიცხვი კვირა იყო და ბევრს წირვა ვერ დაეტოვებია ამ დღეს. ახლად გამოცხადებულმა დეპუტატებმა უკმაყოფილება განაცხადეს ოთხი მოსამზადებელი კლასების დახურვაზე, და შეუდგნენ ორი ათას ორას ოცი მანეთის წყაროს გამონახვას, რომ მოსამზადებელი კლასების დახურვა საჭირო აღარ გამხდარიყო. «მწყემსი»-ს რედაქტორმა, რომელიც დეპუტატათ იყო არჩეული სამღვდელოებისაგან და რომელიც წინა დღეს არ დასწრებია, ცხადათ დაანახვა კრებას ის წყაროები, რომელნიც სამღვდელოების ხელთ არიან და მიუთითა სამღვდელოებას ესარგებლნათ ამ წყაროებითა. მისი სიტყვისაგან აღმოჩნდა, რომ სამღვდელოებას თავისუფლად შეუძლია შეჰკრიბოს არა თუ ეს 2220 მანეთი, არამედ მეტიც, სასწავლებლის საჭიროებისათვის. აღმოჩნდა თუ არა ამ ფულების წყარო, კრებამ გადასწყვიტა მეორე მოსამზადებელი კლასის ორი განყოფილების დატოვება და დახურა მარტო დასაწყისი კლასი, ისიც მიტომ, რომ სასწავლებლის სამმართველო არ თანხმდებოდა მის დატოვებაზედ.

სამღვდელოების დეპუტატებს შემდეგ წყაროების აღმოჩენისა არც ერთი მოსამზადებელი კლასის დახურვა არა სურდა, მაგრამ რადგან როგორც ყოვლად სამღვდელო, ისე სასწავლებლის სამმართველო უსათუოდ ითხოვდენ ორი დასაწყისი მოსამზადებელი კლასების დახურვას, ამიტომ სამღვდელოებამაც დახურა ეს განყოფილებანი. მაგრამ ამ კლასების დახურვით სამღვდელოებას არავითარიმე ხარჯი არ მოჰკლებია: ამ ორი მოსამზადებელი კლასების შესანახავად ეხარჯებოდა სამღვდელოებას ათას ორასი მანეთი, რომელი ფულიც შემოჰქონდათ ყოველ წლობით ამ კლასებში მოსწავლე პირთა, რადგან თვითეულს მოსწავლეს სასულიერო წოდებისას ხდებოდა ათი მანეთი, ხოლო საერო წოდებისას—30 მანეთი.

ყოვლად სამღვდელოს, იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის და სასულიერო სასწავლებლის სამმართველოს აზრი დასაწყისი მოსამზადებელი კლასის დახურვის შესახებ ზემოდ მოყვანილ მოსაზრებათა გამო, სწორედ საფუძვლიანია და ჩვენც სრული თანახმა ვართ ამ აზრისა. პატარა ბავშვების დარჩენა თავიანთ მშობლების ოჯახებში, სანამ ისინი ფიზიკურედ და ზნეობითად გამაგრდებოდენ, რასაკვირველია, სასარგებლოა. სანატრელია აგრეთვე, რომ მშობლები თავიანთ შვილებს მეორე და მესამე კლასებისათვისაც მოამზადებდენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ თვითონ მშობლებს თავიანთ ოჯახებში არ შეუძლიათ შვილების მომზადება. ისინი იძულებულნი შეიქმნებიან, რომ შვილები სასოფლო ან სამრევლო სკოლებში შეიყვანონ. მაგრამ უბედურება ის არის, რომ დღეს ყოველ სოფელში არ არის სასოფლო და სამრევლო სკოლები, ამიტომ მათ შვილები ან შორეულ სოფლებში და ან ისევ ქუთაისში უნდა წაიყვანონ მოსამზადებლად. ორივე შემთხვევაში ბავშვები მოკლებულნი იქმნებიან მშობლების მხედველობას და მასთან მშობლებს შვილების მომზადებაც ძვირად დაუჯდებათ, რადგან სოფლებში დღეს წელიწადში ხუთ თუმნამდე ითხოვენ მოსამზადებელს და ქუთაისში ასი მანეთიც არ ეყოფა მარტო მოსამზადებლად. და ვინ იცის, რომ ის პირნი, რომელთაც ყმაწვილებს მიაბარებენ, უსათუოდ მოამზადენენ მეორე მოსამზადებელი კლასისათვის და რატომ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ბავშვები ხეირიანი მოუმზადებლობისა გამო მიუღებელნი დარჩებიან და ხარჯი კი უბრალოდ ჩაუვლის მშობლებს. სასულიერო სასწავლებელში კი თხუთმეტი მანეთის გამოღებაც საკმაო იყო თვითეული მოწაფისაგან, რომ დასაწყისი მოსამზადებელი კლასის ყოველივე ხარჯი დახურულიყო.

ყველა ჩვენი ნათქვამის სიმართლეს შემდეგი დრო დაამტკიცებს *).

დამსწრე.

*) ამ წერილის შესახებ რედაქცია თავის აზრს შემდეგ ნომერში გამოსთქვამს.

რედაქტორი.



ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელი, მთარგმნელი საღმრთო წიგნთა

ამ წმიდანის ცხოვრების აღწერა იქნება შემდეგ ნომრებში.

# წერილი რედაქტორთან.

მ. რედაქტორო! «მწყემსი»ს მე—23 №-ის მოწინავე წერილში, რომელიც შეეხებოდა ქართულ საეკკლესიო გალობას, მე წავიკითხე შემდეგი შენიშვნა: «არც ერთი პირი არ განწესდება ჩვენში მედავითნის თანამდებობაზე, ვიდრემდის «ეკზამენატორები» კითხვაში და გალობაში არ გამოსცდიან. გალობის სწავლაში ყველას უწერენ: კილოს გალობა იცის, ჰგალობს სოფლიური კილოთიო, მაგრამ რომელი კილოს გალობა იცის, ან რომელი სოფლის კილოთი ჰგალობს, ეს ერთად ერთმა ღმერთმან უწყის». ამ შენიშვნით თქვენ, მ. რედაქტორო, რასაკვირველია, იმის თქმა გსურსთ, რომ დღეს ქართულ საეკკლესიო გალობას საფუძვლიანათ არარავინ სწავლობს და ამიტომ მიუცილებლად საჭიროა, რომ ნოტებზე ახლად გადაღებული ქართული საეკკლესიო გალობის დაბეჭდვისათვის იზრუნოს საზოგადოებამ და მოიპოვოს ამისათვის საჭირო ფული. მაგრამ შეიძლება ყველა მკითხველმა ესრეთი დასკვნა ვერ გამოიყვანოს თქვენის შენიშვნიდამ. ზოგიერთს მკითხველს ადვილად შეუძლია თქვენი შენიშვნის სიტყვები ჩვენდამი მომართულ სიტყვებათ ჩათვალოს. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ განვმარტოთ ეს კითხვა, რომ როგორც «ერთად ერთმა ღმერთმან უწყის», ისე კაცმანც იცოდეს ის, რაც მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს გალობის სწავლაში და ურომლისოთაც კარგი გალობის შესწავლა შეუძლებელია.

ყველას არ შეუძლია ჩვენი საეკკლესიო გალობა ისე შეისწავლოს, რომ სასიამოვნოდ და სწორ-კილოზე იგალობოს. გალობის შესწავლის მსურველს მიუცილებლად უნდა ჰქონდეს იმისათვის განსაკუთრებითი ნიჭი, კარგი სმენა, კარგი ხმა და მასთან სურვილი. ამათში თუ რომელიმე აკლია გალობის შესწავლის მსურველს, მან ბევრიც რომ იმეცადინოს, მაინც გალობის რიგიანად შესწავლა არ შეუძლია. ამაზე ჩვენ ყველა გალობის მცოდნე დაგვეთანხმება. ჩვენ ბევრი გვინახავს, რომელთაც გალობის შესწავლისათვის არ დაუზოგავსთ არც ხარჯი, არც ცდენა და შრომა, მაგრამ ყოველივე შრომას და ხარჯს ამაოდ ჩაუვლია ხოლმე მათთვის, რადგან მათ არა ჰქონიათ გალობის ნიჭი და კაი ხმა. აქედამ მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ ყველა მედავითნეებს არ ექნებათ ის განსაკუთრებითი ნიჭი და თვისებანი, რომელნიც გალობის კარგად შესწავლისათვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენენ. რომ მართლა მედავითნეების ადგილები მხოლოდ ისეთ პირებს მისცეთ, რომელთაც კარგი გალობა იციან, და არა-მცოდნეებს უარი-უყოთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ათს მთხოვნელში ხუთს უარი უნდა ეთქვას. ეს კი შეუძლებელია, რადგან ბევრს, მართალია, გალობაში კარგი ნიჭი არა აქვს, მაგრამ საეკკლესიო წიგნების კითხვა—ტიბიკონში კი ყოჩაღია.

გალობის კარგათ შესწავლისათვის საჭიროა ორი-სამი წელიწადი და ისიც მაშინ, თუ კაცს კარგი ნიჭი აქვს. ამ დროის განმავლობაში შეიძლება ისე მოაწროს კაცმა სამივე წირვის წესების შესწავლა დღესასწაულის მეცხრე სძლის პირებით, რომ სამივე ხმებზედ შეეძლოს თქმა (დაწყება, მაღალი და ბანი). ისეთი მედავითნე, რომელსაც მარტო გალობისათვის ორი და სამი წელიწადი ეშრომოს, ძვირია. ამ სიძნელეს გაადვილებს მხოლოდ ნოტების ცოდნა, მაგრამ კარგა ნოტების შესწავლა, თვით ზეპირად გალობის შესწავლაზედაც უძნელესია.

ნუ დაივიწყებთ, რომ როცა ჩვენ მედავითნეებს გალობაში ვსცდით და შემდეგ უწერთ—კილოზე გალობსო, იმან იცის მხოლოდ კილოზე გალობა და არა გამშვენებით; იმას შეუძლია იგალობოს კილოზე პირველი ხმა მარტო, შეუძლია კიდევ ეს პირველი ხმა იგალობოს იმისთანა მგალობელთან, რომელმაც კილოზედაც იცის გალობა, გამშვენებითაც და სამივე ხმებზედაც ჰგალობს; ან მარტო კილოზე იცის, მაგრამ სამივე ხმები შეუძლია იგალობოს. აქ კიდევ ერთი გარემოებაც უნდა აღვნიშნოთ: არიან ისეთი პირნიც, რომელთაც ჰკლებიათ რომელიმე ნიჭი გალობის შესწავლისათვის, მაგრამ დიდის მეცადინეობით უსწავლიათ გალობა, გალობენ კილოზე, მაგრამ გალობის დროს ხშირად გადუხვევს ხოლმე მათი ხმა მათდა უნებლიეთ დანიშნულებისაგან, რადგან იმათი ხმა და ყელი არ არის ბუნებისაგან გალობისათვის შექმნილი. ამ გვარი ხმის მქონე მგალობელი ისე ვერ შეუწყობს ხმას, რომ მასთან შეუშლელად იგალობოს კაცმა. ამ გვარ კაცზე შეუძლებელია კაცმა სთქვას: კილოზე ვერ გალობსო.

რაც შეეხება იმას, რომ სოფლურად ჰგალობს, ან კილოს გარეშე ჰგალობსო, ეს იმას ნიშნავს, რომ გალობა კილოზე არ უსწავლია, იცის მხოლოდ ზეპირად და, როგორც თვითონ სურს, ისე უხვევს ხმას აქეთ-იქეთ და თან სიტყვებს ლაპარაკობს შიდ. ამ გვარ თვისებურ გალობას მეორე და მესამე ხმას ვერავინ ვერ მიუყენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საეკკლესიო წიგნების კითხვაში თუ ზოგი მედავითნეები კოჭლობენ, ამისი მიზეზი, როგორც თვით უწყით, მრავალია. აი ამისი უმთავრესი მიზეზები: მღვდლები თავიანთ შვილებს პირველად კლასისათვის ამზადებენ და ამიტომ მათ დასაწყისში საღმრთო წერილის კითხვას არასწავლიან. როცა მათი შვილები სასწავლებელში სწავლას შეასრულებენ და ან შესრულებამდის სასწავლებლიდამ რიცხავენ მათ, მხოლოდ მაშინ აწყებინებენ მამები საღვთო წერილის სწავლებას თავის შვილებს. გამოცდილებით ვიცით, რომ, როდესაც კაცს უპირველესი სწავლის დრო ხელიდან წაუა, შემდეგ ყოველი სწავლა იმისათვის ძნელია. რომ საეკკლესიო წიგნების კითხვა კარგათ იცოდეს კაცმა, ამისთვის საჭიროა ბავშობის დროს კითხვაში თვალის გატეხა; უამისოდ ამ დანაკლისს კაცი ადვილად ვერ გაისწორებს ვსთქვათ, რომელიმე მედავითნემ დიდის ვაგლახით შეისწავლა საეკკლესიო წიგნების კითხვა და ტიბიკონი, «ეკზამენიც» დაიჭირა, მაგრამ იმათ შემდეგშიაც ისრეთი დაბრკოლებანი ხვდებათ წინ, რომ მათი ძლევა შეუძლებელია. ბევრი სოფლის მღვდელი წელიწადში ხუთჯერაც არ ილოცავს ეკკლესიაში მწუხრსა და ცისკარს გარდა დიდი მარხვის პირველი შვიდეულისა! მღვდლები უმეტესად ლოცულობენ თავიანთ სახლებში მარტო—ლოცვანსა და ჟამნ-დავითნს, იმათაც მხოლოდ შაბათსა და კვირას. ესეც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გვარი ლოცვის დროსაც ზოგი მღვდლები ხშირად მიაძახებენ ხოლმე მედავითნეებს: —ჩქარა, ჩქარაო! ეს ჩვენ თვით მედავითნეებისაგან გაგვიგონია. ამ გვარ მღვდელთან მოსამსახურე მედავითნეს კითხვაც და ტიბიკონიც ადვილად დაავიწყდება. კაცს, რომელსაც რომელიმე სასწავლებელში დაუმთავრებია სწავლა და მიუღია მოწმობა, არ შეუძლია წინეთ ნასწავლ საგნებში ხეირიანი ეკზამენი მისცეს, თუ მას ნასწავლი საგნები ერთის ან ორის წლის განმავლობაში არ გაუმეორებია. თვითოეულ მედავითნეზედაც ესევე ითქმის.—იმ მედავითნეს, რომელიც ლოცვის ყოველივე წესს თავის რიგზე ასრულებს, არა თუ დაავიწყდება მას კითხვა და საეკკლესიო წიგნების ტიბიკონი, არამედ უფრო კარგადაც შეისწავლის. არიან ბევრი ისეთი მღვდლები, რომელნიც თავიანთ მოვალეობას რიგიანად ასრულებენ. ამ გვარ მღვდლებთან ნამსახური მედავითნეები კიდევაც ადვილად იჭერენ «ეკზამენს» ერთი ადგილიდგან მეორე ადგილზე გადასვლის, ან მათი კურთხევის დროს.

ზემო აღწერილმა გარემოებამ ერთ მოსაზრებამდის მიმიყვანა, რომელიც ამასთანავე უნდა აღვიარო: თუ გვინდა, რომ მედავითნეებმა კითხვა—ტიბიკონსა და გალობაში სიკოჭლეს თავი დაახწიონ, ჩემის ფიქრით, საჭიროა ვინმემ ითაოს და სასულიერო მთავრობის ნებართვით გახსნას ორი წლიური «სამედავითნო სკოლა», სადაც მიიღებოდეს სასულიერო ოთხ-კლასში კურს შესრულებულები, რომელნიც სემინარიაში ველარ წავლიან და სხვა პირნიც. ამ სკოლაში უნდა იყოს საგნად დადებული მხოლოდ საღმრთო წერილის კითხვა, ტიბიკონი, გალობა და სხვა სამედავითნო საგნები. ვისაც მედავითნეობა სურს, თუ კი ყველასთვის ეს ორ წლიური კურსი სავალდებულო იქმნება, უეჭველია შემდეგ ყველას კარგად ეცოდინება სამღვდელო და სამედავითნო საგნები, ვინემ დღეს იციან. რა საკვირველია, ყოველივე ამ გვარი საქმისთვის ფულია საჭირო, მაგრამ აქ მხოლოდ უსაჭიროესია მონდომება და თაობა, თორემ მონდომების შემდეგ საქმე ყოველთვის გაკეთებულა და გაკეთდება კიდევაც.

მთავარ-დიაკონი რ. ხუნდაძე.

## პოეტის საუბარი პატრიოტთან.

პოეტი ვარ შენ ამბობ,
რომ პოეტად ვშობილვარ,
ერის გასათვხიზლებლად
ბუნებას შევუქმნივარ.

—

ჩემთვის წილად ურგია
სიმართლისა მბობანი,
ტურთვა ჩვენის ქვეყნისა
ტკბილის ჰანგით მკობანი.

—

მოძმისათვის თავ-დადება
ჭირში მასთან დგომანი,
მის უმართლოდ მჩაგვრელთან
ჩემის კალმით ბრძოლანი.

—

მაგრამ ვით აღვასრულო
ეს მძიმე ვალდებანი?

როცა ერს სულით სძინავს
და აღარა აქვს გრძნობანი.

—

როს ჩემი არა ესმისთ
მოძღვრება ფუჭად ჰქრება,
ჩემი ნაწერის აზრი
შეუგნებელი რჩება.

—

პოეტის ჩანგის ჟღერა
იმათ გულს არა ხვდება,
პოეზიით მხილება
მათთვის უხმარი ხდება.

—

როს პოეტის იდეალს
ჯერ გზა ვერ გაუკაფავს,
ერის ჭკუა-გრძნობასთან
თავი ვერ შეუფარავს.

—

ყურს ვინ უგდებს პოეტებს
ან მათ მაღალს აზრებსა,
ჩვენში უფრო ფას სდებენ
ჭორიკანულ ზღაპრებსა.

—

ქვეყნის ერთგული მუშა
ქვით დასაკრები ხდება,
ბოროტების მოქმედნი
თაყვან საცემი ხდება.

ქაიხოსრო გელოვანი.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

წარსულს დეკემბრის თვეში ქალაქ ფოთიდგან დეპუტაცია ჩავიდა ქალაქ თბილისში. ეს დეპუტაცია გამოეცხადა მათ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, ახალს ექსარხოს პალლადის, რომელსაც ჯერ მშვიდობით მობძანება მიულოცა და შემდეგ სთხოვა ახალ-სენაკიდამ ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლისა. ფოთში გადატანი- ასრეთივე დეპუტაციები და ამავე მიზნით, თითქმის, სამეგრელოის ყველა დაბებიდგან ეცხადებიან დღესაც ახალს ექზარხოს და სთხოვენ, რომ მათ დაბაში იქმნეს გადატანილი ზემოდ მოხსენებული სასწავლებელი და შეწირულებასაც ჰპირდებიან სასწავლებლის სასარგებლოდ. მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, მთავარ-ეპისკოპოსი პალლადი თურმე ყველა დეპუტაციებს ერთსა და იგივე პასუხს აძლევს ამ საგანზე: „ეს კითხვა, უბრძანებია მათ მეუფებას დეპუტაციებისათვის, ისე ძნელი და მასთან საყურადღებო არის, რომ მისი გადაწყვეტა არ შემიძლია, სანამ თვით მე არ მოვალ და ადგილობრივ არ შევიტყობ საქმის გარემოებასაო". ამ მიზნით მარტში ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსის გრიგორისაგან სამღვდელოების კრება უნდა იქმნეს დანიშნული დ. ახალს-სენაკში, რომელ კრებაზედაც აპირებს დასწრებას მათი ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი პალლადი.

***

საქართველოს ექსარხოსად ყოფილს, დღეს ყაზანის მთავარ-ეპისკოპოსს პაველს შეუტანია უწმიდეს სინოდში განსახილველად თავისი წინადადება. მათი მეუფების წინადადებისამებრ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა უნდა გადაკეთებულ იქმნეს საექსარხოსო სამმართველოდ. ამ წინადადების უმთავრესი აზრი არის შემდეგი: ექსარხოსი, რომელიც დღეს კანტორის თავს-მჯდომარედ ირიცხება, საექსარხოსო სამმართველოის სხდომებზე არ დაესწრება, მაგრამ ამ სამმართველოსაგან განხილული და გადაწყვეტილი საქმეები წარედგინებიან მათ მეუფებას დასამტკიცებლად. პროკურორის და ორი მდივნის მაგიერ, რომელნიც დღეს მსახურებენ კანტორაში, უნდა იქნეს ერთი მდივანი. სამმართველო შეეხება იმავე საქმეების განხილვას და გარდაწყვეტას, რა საქმეებიც კანტორას ექვემდებარებოდენ.

***

ამ პირველ ნომერში ჩვენ გვინდოდა მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის პალლადის სურათის დაბეჭვდა, მაგრამ ამ სურათის კლიშე, რომელიც ჩვენ შეკვეთილი გვქონდა პეტერბურგში ერთ ჩვენ სურათების მომჭრელთან (граверъ), ჯერეთ კიდევ არ მიგვიღია. იმედია, მალე მივიღებთ და მაშინ დავაკმაყოფილებთ ჩვენი მკითხველების სურვილს.

ამას გარდა ამ წელში ჩვენ ჩვენის გაზეთის ხელის-მომწერლებს უფასოდ დაურიგებთ მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის ფოტოგრაფიულ საკაბინეტო სურათს.

# სიტყვა,

თქმული სიონის საკათედრო ტაძარში მაღალ ყოვლადსამღვდელოის, საქართველოს ეგზარხოსის პალლადის მიერ, ოც და ერთ ნოემბერს 1887 წელსა პირველად ამ ტაძარში წირვის შესრულების დროს

> გლოცავ თქვენ, ძმანო, რათა ღირსად ხვიდოდეთ ჩინებისა მის, რომლითა იჩინენით (ეფეს. 4, 1). სდეგით სარწმუნოებასა ზედა, მხნე იყვენით და განძლიერდით. (ა. კორინთ. 16, 13).

პირველად, როცა ჩვენ ერთი ერთმანერთს შეხვდით, მე, თქვენმა ახალმა მთავარ-ეპისკოპოზმა, მცნებისა მებრ ჩვენი ზეციური მწყემსთ-მთავრისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, სალმად გიძღვენით თქვენ, ქრისტესაგან ჩემდამო მონიჭებულო საქართველოს სამწყსო, მშვიდობა, სიყვარული და მადლი ღვთისა, მასთან გარდმოგეცით თქვენ ღვთისა და ჩემი მღვდელ-მთავრული ლოცვა-კურთხევა. დღეს პირველად შევასრულე საღმრთო ლიტურგია სამეუფეო თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში და შევსწირე უსისხლო მსხვერპლი საცხოვნებლად და საკეთილ-დღეოდ ამა ქალაქის მკვიდრთა და ყოველთა სულთათვის, რომელთაც წინამძღვრობა მე ღვთისაგან მაქვს მონიჭებული. დღეს ღვთის განგება მანიჭებს მე საქართველოში მწყემსთ-მთავრის ადგილს, რათა ვემსახურო ახალს ჩემს სამწყსოს. დღეს, ღვთის საერთო ვედრების და ჩემგან უუწმიდესი მსხვერპლის შეწირვის შემდეგ, ჩემსა და თქვენს შორის მტკიცდება მწყემსებრივი კავშირი; დღეს მე ვიღებ ჩემ თავზე დასაცველად სულთა თქვენთა, რათა დავიცვა იგინი სახელითა შენითა, მამაო წმიდაო, რომ არცა ერთი მათგანი არ წარსწყმდეს (იოან. 17, 12); დღეს მე, როგორც მწყემსი და მასწავლებელი, უნდა დაგიახლოვდეთ თქვენ, საყვარელნო ძმანო, სახარების სიტყვის ქადაგებითაც.

მაგრამ რა ვსთქვა? მოეც, უფალო «ხმასა ჩემსა ძალი» (ფსალ. 67, 34), რათა მათ, რომელთა ისმინონ სიტყვა ღვთისა ჩვენგან, მიიღონ იგი, არა ვითარცა სიტყვა კაცთა, არამედ ვითარცა არს ჭეშმარიტად სიტყვა ღვთისა, რომელიც მოქმედებს მორწმუნეთა შორის. (ა. თესალ. 2, 13).

საიდგან დავიწყო მე პირველი ჩემი სიტყვა? «ფართო არს მცნება უფლისა ფრიად» (ფსალ. 118, 96); აგრეთვე ბევრნაირია მწყემსის და მასწავლებლის მოვალეობა. ეს მოვალეობა მდგომარეობს მასში, რათა მწყემსმა და მასწავლებელმა დაიცვას სამწყსო. ყურადღებით ადევნოს მას თვალ-ყური სარწმუნოებრივ და ზნეობრივ საქმეებში, ბრძნულად და წინდახედულად მოაშოროს სამწყსოს ყოველივე დაბრკოლებანი, რომელნიც ხელს შეუშლიან მას ცხოვნების საქმეში, გამონახოს საიმედო საშუალებანი, რომლითაც დაიცვას მისდამი რწმუნებული სამწყსო მავნებელ ზედ-მოქმედებისაგან, ცთომილებისაგან და დაბრკოლებისაგან. რა საგანი აღმოვირჩიო დღეის მოძღვრებისათვის? მრავალ საქადაგებო საგნებისაგან ვირჩევ თვით უმთავრეს და მიუცილებლად საჭიროს თვითეული ქრისტიანე კაცისათვის, სახელდობრ—ვიწყებ ჩემს სიტყვას თქვენდამი წმ. მოციქულის შემდეგი ვედრებით და მცნებით: «ღირსეულად ხვიდოდეთ ჩინებისა მის, რომლითა იჩინენით. სდექით სარწმუნოებასა ზედა, მხნე იყვენით და განძლიერდით».

რა ჩინებაა ესე, რომლის შესახებ წმ. მოციქული გვთხოვს ჩვენ, რათა ღირსეულად ვიდოდეთ? ჩინება ესე არს ჩინება ქრისტიანული, ჩინება თვით უმაღლესი. ქრისტიანენი ღვთის მადლისა მებრ არიან «ძენი ღვთისა» (იოან. 1, 12) მოწოდებულნი, რათა იმყოფებოდნენ სულიერ ერთობასა შინა ღმერთთან, ზეციურ მამასთან, უფალთან, რომელიც არის ძე ღვთისა და სული წმიდასთან, რომელიც ყოველივეს განწმენდს, მოწოდებულ არიან (რომ. 8, 17), რათა დაიმკვიდრონ სასუფეველი საუკუნო ნეტარებისა. მაგრამ ჩვენ, ქრისტიანენი, ამ ჩვენს უმაღლეს ჩინებას ვასრულებთ თუ არა საქმით და ჩვენი ცხოვრებით? გვრწამს თუ არა ჭეშმარიტებით, მტკიცედ და შეურყეველად ის სწავლა, რომელსაც გვამცნებს ჩვენ წმ. ეკკლესია ღვთის განცხადებისა მებრ? აი ამისათვისაც წმ. მოციქული გვთხოვს და გვამცნებს ქრისტიანებს: «სდექით სარწმუნოებასა ზედა, მხნე იყვენით და განმტკიცდით». მოციქულთან

ერთად მეც, როგორც თქვენი მწყემსი, გვედრი თქვენ, ძმანო, რათა მტკიცედ და მუდამ ადგეთ ქრისტეს სარწმუნოებას და არა მარტო სდგეთ, არამედ აღორძინოთ და «უფროს მატებდეთ მასში ფრიად და ფრიად» (ა. სოლ. 4, 1) და მტკიცედ აღიარებდეთ ამა სარწმუნოების მაცხოვნებელ ჭეშმარიტებათა.

«თვინიერ სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ არს სათნო-ყოფა ღვთისა» (ებრ. 11, 6). ქრისტეს სარწმუნოება, სარწმუნოება უფლისადმი ჩვენისა, რომელიც არის «შუამდგომელი ღვთისა და კაცთა შორის» (ა. ტიმოთ. 2, 5), სარწმუნოებისა ჩვენისა წინამძღვარი და სრულებისა მომქმედი (ებრ. 12, 2), სარწმუნოება ქრისტეს სახარებისა, მადლისა და წმ. საიდუმლოებისადმი, სარწმუნოება ესე არს ერთად ერთი თავსმდები ჩვენი ცხოვნებისა და საუკუნო ცხოვრებისა, სარწმუნოება ესე არს უმთავრესი პირობა, რომლითაც დავიმკვიდრებთ ზეციურ სასუფეველსა, რომლისადმი ჩვენ მოწოდებულ ვართ ღვთის განგებით; სასუფეველი ესე გამზადებულ არს იესო ქრისტეს ვნებით და წვალებით და განწმედილი სული წმიდის მადლით. გრწამდეთ სახარება (მარკ. 1, 15),—იყო პირველი სიტყვა უფლისა, რომლითაც მან დაიწყო განაჲლება და ცხოვნება კაცთა ნათესავისა. გრწამდეთ ღმერთი და მე (იოან. 14, 1), ასწავებდა იესო მსმენელთა; «რომელსა რწმენეს ძე, აქვნდეს ცხოვრება საუკუნო» (3, 36); და «ესე არს ცხოვრება საუკუნო, რათა გიცოდენ შენ მხოლო ჭეშმარიტი ღმერთი და იესო ქრისტე, რომელი მოავლინე შენ (17, 3). უფალმა აგრეთვე ამცნო თავის მოციქულთა, რათა მათთაც ასევე ესწავებიათ; და ისინიც ასწავებდენ, რომ «სარწმუნოებით მართალი სცხოვნდების» (1, 17). რომ ჩვენ ყველანი ვსცხოვდებით სარწმუნოებით, «მაგრამ ესე არა ჩვენგან არს, არამედ ღვთისა ნიჭი არს» (ეფეს. 2, 8). სარწმუნოებით ჩვენ ვიშობებით სულიერი ცხოვრებისათვის: სარწმუნოებით განიწმიდება ჩვენი გული ცოდვებისაგან საიდუმლო სინანულის დროს; სარწმუნოებით ვიღებთ ჩვენ ზიარებაში იესო ქრისტეს ხორცსა და სისხლსა; სარწმუნოებით გვეძლევა ჩვენ სულიერი განათლება, სარწმუნოებით ვმტკიცდებით მადლიან ცხოვრებაში, სარწმუნოებით გვენიჭება ჩვენ ნუგეშინის ცემა მწუხარებასა და სიხარული სულისა წმიდისათანა (ა. სოლ. 1, 6), სარწმუნოებაზე არის დამოკიდებული იმედი საუკუნო ცხოვრებისა. ქრისტეს სარწმუნოება არის ქვაკუთხედი ჩვენი ქვეყნიური ჭეშმარიტი ბედნიერებისა; სარწმუნოება ესე ანიჭებს კაცს არა მარტო საუკუნო ნეტარებას ზეცაში, არამედ სარწმუნოება განამზადებს და კეთილ განამტკიცებს ჩვენ ქვეყნიურ კეთილ-წარმატებასაც, როგორც ამბობს მოციქული: «ხოლო ღვთის-მსახურება ყოვლითავე სარგებელ არს, რამეთუ აღთქმა აქვს ცხოვრებისა აწინდელისა და მერმისისა» (ა. ტიმ. 1, 8). მოკლედა ვსთქვათ: სარწმუნოებისაგან ჩვენდამი მონიჭებული ღვთის მადლი ისე დიდნი და სხვა-და-სხვა ნაირნი არიან, რომ შეუძლებელია მთლად გამოვხატოთ ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას კაცისათვის.

ამიტომ, როგორც მწყემსი, გევედრებით თქვენ, ძმანო, რათა სდგეთ და განმტკიცდეთ სარწმუნოებაში, და სახელდობრ—წმიდა და ნამდვილს სარწმუნოებაში, იმ სარწმუნოებაში, რომელიც ერთად ერთი ჭეშმარიტი და მაცხოვნებელია. ვინაიდგან არიან ისეთი მორწმუნენიც, რომელთაც არა სწამთ სინამდვილით, არამედ *სხვად* სახარებად (გალატ. 1, 6), ჭეშმარიტ სარწმუნოებას ურთებენ სულის წამაწყმედელ სიცრუეს, სხვა-და-სხვა ცთომილებათა და ცრუმორწმუნეობათა. არიან ისეთნი მორწმუნენიც, რომელნიც განიშორებენ თავთა სარწმუნოების ერთობისაგან (იუდ. 19) და სცვლიან უფლისა ჩვენისა სწავლას. ეს ისინი არიან, რომელნიც ასწავებენ *ცხოველი სიტყვისა* მის (ბ. ტიმოთ. 1, 13) წინააღმდეგ, რომელნიც დაგვრჩენია ჩვენ წმ. მოციქულთა და მსოფლიო ეკკლესიის მამათა და მასწავლებელთა გარდმოცემაში, ამ პირთ სახარების მაცხოვარებითი სწავლაში შეაქვსთ მწვალებლობა, რომელიც წარმოსდგება მათი გულის თვით-მნებლობისაგან. ეს ისინი არიან, რომელნიც არ უსმენენ ერთ წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესიას, რომელიც დამყარებულია თვით ღვთისაგან მასწავლებლად და ხელ-მძღვანელად ჩვენი ცხოვრების საქმეში (ა. ტიმ. 3, 15), რომელნიც არ აღიარებენ კანონიერ მწყემსთ-მთავრობას და არ ემორჩილებიან მას, არამედ ირჩევენ თავისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლად იმ კაცებს, რომელნიც არიან «განხრწნილნი გონებითა და გამოუცდელნი სარწმუნოებითა» (ბ. ტიმოთ. 3, 8), ნუ ისმენთ, ძმანო, იმ ცრუ სიტყვებსაც, რომელნიც დღეს, სამწუხაროდ, ხშირად გვესმის, ვითომც სულ ერთია როგორც უნდა გვწამდეს, სულ ერთია ეს სარწმუნოება თანახმა იქნება მართლ-მადიდებლობასთან, ანუ სხვა ქრისტიანეთა და საზოგადოებათა რომელიმე აღსარებასთან, თუ არა, ანუ ვის როგორა სურს, აგრე წოდებული ცრუ-რწმუნებისა მებრ. ამისთანა გულ-გრილობა ანუ გაურჩევლობა – ინდეფერენტიზმი სარწმუნოებისა, არის საშიშარი სენი ცხლანდელი ჩვენი დროისა. არა, რამდენათაც საჭირო და ძვირფასია ჩვენთვის ცხოვნება სულთა ჩვენთა და რამდენათაც ცხოვნებისათვის საჭიროა წმ. სარწმუნოება ქრისტესი, იმდენად უმეტესი სიწმიდით, ერთობით და შეურყევლად უნდა დავიცვათ ჩვენ ეს საუნჯე; თუ ასრეთი სიწმინდით დავიცვავთ ჩვენ ამ საუნჯეს, მაშინ სარწმუნოება დაცულ იქმნება ყოველივე ვნებისაგან, გადრეკისაგან და ცვლილებისაგან. აი ამიტომაც წმ. მოციქული ასრე მომეტებულად აფრთხილებს თავის მოწაფეთა, რომ მათ არ შესცვალონ ქრისტეს ჭეშმარიტება «სხვად სახარებად»: «ხოლო გლოცავ თქვენ, ძმანო, სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რათა მასვე იტყოდეთ ყოველნი და ნუ იყოფიან თქვენ შორის წვალება, არამედ იყვენით განმტკიცებულნი მითივე გონებითა და მითივე მეცნიერებითა» (ა. კორინთ. 1, 10).

მაგრამ, ძმანო, საკმაო არ არის, რომ მარტო მტკიცედ ვ დგეთ ქრისტეს წმ. სარწმუნოებასა ზედა და აღვიაროთ იგი მხოლოდ სიტყვით და პირით, არამედ ამასთან საჭიროა კეთილი და ღვთის სათნო საქმეებით დავამტკიცოთ ჩვენი სარწმუნოება. «სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკვდარ—არს» (იაკ. 2, 26). რომელ კაცშიაც არის ამისთანა სარწმუნოება, იმაში ის ესათუოდ გამოჩნდება საქმეებით, რომელნიც წარმოსდგებიან ღვთისა და მოყვასთა სიყვარულისაგან, გამოჩნდება საქმეებით, რომელნიც ნაყოფნი არიან სიმართლისა, კეთილ ცხოვრებისა, მოწყალებისა და ყოველივე სათნოებისა, მზგავსად მისსა, როგორც კეთილი ხე გამოიღებს ნაყოფსა კეთილსა (მათ. 7, 17) ამიტომ მთელი ჩვენი ცხოვრება და მთელი ჩვენი მოქმედება გამსჭვალული, განწმენდილი და გაცხოველებელ უნდა იქმნეს ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოებით, რათა ჩვენ ღირსეულად ვიდოდეთ ჩვენს მაღალ ქრისტიანულ ჩინებასა შინა.

აგრედ განმსჭვალულ და განწმენდილ უნდა იქმნეს ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოებით ჩვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. სასურველია გამოსჩნდეს სარწმენოება საქმით საზოგადოების უმაღლეს პირთა შორის, რომელნიც მოწოდებულ არიან, რათა დაამყარონ საზოგადო კეთილ-დღეობა თავისი ჭკუით, განათლებით, მაგალითით და მთავრობით. რომ ამ სარწმუნოებით ქვეშევრდომნი და ყველა უნცროსნი წევრნი საზოგადოებისა ხელმძღვანელობდენ, თუ როგორ დაემორჩილონ იგინი თავიანთ უფროსებს, რომელნიც ღვთისაგან არიან დაყენებულნი მათზე და მასთან ღირსეულად აღასრულონ თავიანთი მოვალეობანი და აშორდენ სიზარმაცეს და უსაქმოდ ყოფნას და ამ სენთაგან წარმომდგარ ბიწიერებათა. ახალ თაობის მასწავლებელნო და აღმზრდელნო! ასწავლეთ მოწაფეთა თქვენთა პირველ ყოვლისა შიში ღვთისა, რომელიც არის დასაწყისი სიბრძნისა; იმეცადინეთ, რათა დანერგოთ მათ გულში ცხოველს-მყოფელი თესლი სარწმენოებისა და ზნეობისა. გახსოვდეთ რა, რომ ჭეშმარიტი ბედნიერება კაცისა დამოკიდებულია ღვთის და მისი მაცხოვარებით ჭეშმარიტებათა გაგებაზე. სარწმუნოების წმიდა დარიგებაებით უნდა ხელმძღვანელობდენ მყიდველნი და გამსყიდველნი, მშრომელნი და მომქმედნი, თუ სურთ, რომ თავის კეთილი შრომის ნაყოფი უხვად მიიღონ.

**ძმანო!** განიწმინდენით ქრისტეს სარწმუნოებით, რომ იგი იყოს ხელმძღვანელი და მასწავლებელი თქვენი თქვენს შინაურს ცხოვრებაში და ამა წუთი სოფლის მოღვაწეობაში, რათა კანონიერად და ქრისტიანულად იქცეოდეთ თქვენს ყოველ დღიურ-ცხოვრებაში. განსაკუთრებით სასურველია, რათა ქრისტეს სარწმუნოებია ძალა და მოქმედება გამოჩნდეს მშობლების ბრძნულს და კეთილ-მზრუნველობითი სიყვარულში მათი შვილებისადმი და შვილების მორჩილებასა და პატივისცემაში მათი მშობლებისადმი; სასურველია, რათა მშობლებმა თავიანთი შვილები აღზარდონ ჭეშმარიტ სარწმუნოებასა და ზნეობასა

ეროვნული ბიბლიოთეკა



შინა, ხოლო ბავშვებმა შეიძინონ სწავლა ესე და გაინათლონ მით გონება და გული თვისი.

მე მოკლედ გამოვხატე სახე ქრისტეს სარწმუნოებისა, ვაჩვენე მსმენელთა, თუ რა საჭიროა ამ სარწმუნოების ჭეშმარიტებით ხელმძღვანელობა ჩვენს ცხოვრებაში და მოქმედებაში, აგრეთვე დავხატე, თუ რა კეთილ-მყოფელობითი და მაცხოვარებითი ძალა აქვს ამ სარწმუნოებას ჩვენ—ქრისტიანეთათვის.

მაგრამ დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, ურწმუნოება როგორც სასტიკი და მძიმე სენი, როგორც გადამდები ჭირი, რომელიც ნახევრობითა სჭამს ცოცხალს სხეულს (ბ. ტიმ. 2, 17), მეტად ვრცელდება ხალხში. ბევრი გაუნათლებლობისა, ანუ ცუდი აღზრდისა გამო არაფრად აფასებენ წმ. სარწმუნეობის დაუფასებელს ზეციურ საუნჯეს, უარსა ჰყოფენ სარწმუნოების ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა, ჰკიცხავენ და დასცინიან სარწმუნოებას და მის ჭეშმარიტებათა.

ყოველივე ღონის ძიებით ერიდეთ, საყვარელნო ძმანო, ურწმუნეობის ამ დამღუპველ ჭირს. ტყუილად კი არ ისმის ყველა მხრიდგან საჩივრები, რომ დღეს სარწმუნოება დამცირდა, სიყვარული გაგრილდა და კეთილ ცხოვრება შესუსტდა. მართლაც, დღეს ბევრი ისეთი რამ გვახვევია გარს, და იმდენათ გატაცებულნი ვართ ამაო-წუთი სოფლის ზრუნვით, რომ გასაკვირიც არ იქმნება, რომ ჩვენი გონება რაიმე შეცდომაში ჩავარდეს. ბევრს შეცდომილებაში ვარდება კაცი არა-ქრისტიანული ცხოვრების მაგალითებით! ბევრს შეცდომილებაში ვარდება კაცის გული ქვეყნის მიერ გამოგონებულ სიამოვნებათაგან, რომლითაც ჩვენი ცხოვნების მტერი ცდილობს დაგვავიწყოს ჩვენ მომავალი ცხოვრების ნეტარება. ყოველივე ამაებთან სასტიკად უნდა ვიბრძოდეთ და დავიცვათ წმ. სარწმუნოება მის წინაამღდეგთა ძალთაგან, განსაკუთრებით ეხლა, როცა გონების გარეწარი სჯა დღითი დღე მატულობს, ცუდი ჩვეულებანი ვრცელდებიან და ქვეყნის მშვენიერებანი მეტად მრავლდებიან.

კიდევ განმეორებით გთხოვ თქვენ, ძმანო, მოციქულის სიტყვით: ღირსეულად ხვიდოდეთ ჩინებისა მის, რომლითა იჩინენით (ეფეს. 4, 1). მტკიცედ სდეგით სარწმუნოებასა ზედა, მხნე იყვენით და განძლიერდით მას შინა. (ა. კორინ. 16, 13). ყოველივე სიწმიდით და სისწორით დაიცვეთ ქრისტეს წმ. სარწმუნოება,—სარწმუნოება მართლ მადიდებელი, როგორც დაუფასებელი ზეციური საუნჯე, როგორც ძვირფასი თავს-მდები ჩვენი კეთილ-დღეობისა და ცხოვნებისა და როგორც საღმრთო აღთქმა წინაპართა. იგი, ჭეშმარიტად, არს სიბრძნე ჩვენი და გულის ხმა ყოველთა ერთა; იგი არის ცხოვრება ჩვენი (მეორე-ჯული 4, 6; 32, 47).

დღეს ჩვენ ვიხსენიებთ ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის მარიამის ტაძრად-მიყვანებას, სადაც იგი, როგორც ცხოველი კიდობანი უფლისა, დღე და ღამე სწავლობდა ღვთის სჯულს, ივსებოდა სულიერი სიბრძნით, იზრდებოდა ზეციური საჭმლით და სხოვრობდა ღვთისათანა. მისი მაღალი ცხოვრება იყოს ჩვენთვის მაგალითად, თუ როგორ დავიცვათ წმ. სარწმუნოება და განვმტკიცდეთ მასში. და ჩვენც ღირსი გავხდებით მისი წმიდა მფარველობისა და ლოცვა-კურთხევისა, თუმცა მტკიცედ და ჭეშმარიტებით დავიცვათ წმ. სარწმუნოებას და კეთილ-ცხოვრებას. მეც, თქვენს, მდაბალს მწყემსთ-მთავარს სხვა უფროსი სიხარული არა მაქვს, რათა მესმოდეს შვილთა ჩემთა ჭეშმარიტებით სვლაი (გ. იოან. 1, 4).

ხოლო ღმერთმან ყოვლისა მადლისამან, რომელმანც გიჩინნა თქვენ საუკუნესა მას დიდებისა მისისა ქრისტე იესოს მიერ, მანვე განგამტკიცოსთ თქვენ, დაგამტკიცოსთ, განგაძლიერნოსთ და დაგამყარნოსთ (ა. პეტ. 5, 10). ამინ.

## მოძღვრებანი

### სახარების ცხრა ნეტარებაზედ.

### VIII

«ნეტარ იყვნენ დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ სასუფეველი ცათა. (მათ. 5, 10).

ჩვენს ცხოვრებას რომ დავაკვირდეთ, ქრისტეს მიერ შემოკრებულნო ერნო, დავინახავთ ერთს, თითქო, საოცარს და გაუგებარს მოვლენას. ქვეყნიური საქმეები და მაგალითები ცხადათ გვიმტკიცებენ, რომ ცხოვრების ნაღველი, ამ სოფლის სიმწარე და მისგან შევიწროება და ჩაგვრა უფრო მომეტებულად შეხვდება ხოლმე მართალთა და უმანკოთა, მაშინ, როდესაც მრავალნი ბოროტნი და უსამართლონი მეტად ხშირად განცხრომაში, პატივში და დიდებაში არიან ხოლმე. დიდიხანია ყველასაგან შენიშნულია, რომ ამ სოფლის ცხოვრება კაცს

სიმართლისა და კეთილისათვის თითქმის ჭირისა, კაებისა და შავის დღის მეტს არას უმზადებს. ამაზედ ჩვენი უბრალო ხალხური ანდაზაცა კი ამბობს: «მაჭყე, მიჭყე სიმართლესა, გამოგილევს სანათლესა».

რას ნიშნავს, ძმაო, ეს? თითქო რომ სრულიად გაუგებარია ამისთანა ცხოვრების მოვლენა. კიდევ შეიძლებოდა გასაგები ყოფილიყო, რომ უბედურება, საწყალი, დევნა და შევიწროება ამ ქვეყანაზედ მოვლინებოდათ მხოლოდ ბოროტ-მოქმედთა და უსამართლოთა;—მაშინ ვიფიქრებდით, რომ იგინი სამართლიანად დასაჯა ღვთისა და კაცის მართლ-მსაჯულებამ; მაშინ სრულიად კანონიერად ავხსნიდით, რომ, თუ ამათთანა ხალხი მწუხარებასა და საწყალს მიეცემიან ხოლმე,—ეს თვით მათივე ბრალია და არა სხვისი,——რომ ასეთი მათი უბედობა გამოწვეულია მათივე უკუღმართობიდგან. მამასადამე ასეთი მოვლენა ადვილი ასახსნელი იქნებოდა; მაგრამ მართალი და კეთილ-მსახური, ღვთისა და კაცის მასიამოვნებელი და კეთილ-მოყვარე რაღათ უნდა იწოდეს, ძმანო, ტავში სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედთა და უსჯულოთათანა, და არამც თუ ერთ ბედს ქვეშ იყვეს მათთან, არამედ მას უფრო ბევრჯელ და ხშირად შეხვდებოდეს ხოლმე ეს ცხოვრების სიმწარე.—კაცისა და, რასაკვირველია, მით უმეტეს ღვთის სამართალიც მოითხოვს, ძმანო, რომ ყველამ თავთავისი იწვნიოს: კეთილმა კეთილი, ხოლო ბოროტმა ბოროტი; ამიტომ თითქმის გაუგებარია და სრულიად მოულოდნელი ის შემთხვევა, რომ მართალნი მიეცემიან ხოლმე უბედურებასა და ბევრ კაცთაგან უსამართლო დევნას. «განმრავლდეს უფროს თმათა თავისა ჩემისათა მოძულენი ჩემნი ცუდად, განმრავლდეს მდევარნი ჩემნი, მტერნი ჩემნი საცრუო» (ფს. 68. 4). ხმობდა სამართლისა და კეთილის მოყვარე ფსალმუნთ მგალობელი დავით წინასწარმეტყველი. თვით მაცხოვარიც იმას უწინასწარმეტყველებდა, ძმანო, მოწაფეთა თვისთა და საზოგადოთ თვისთა მორწმუნეთა, რომ, მსგავსად მისსა, მათაც ელის ვიწრო და ეკლიანი გზა, რომ მათაც სხვა გზა არა აქვსთ ამ სოფელში და ამიტომ მათ უნდა ითმინონ მრავალი გვარი შეწუხება; შევიწროება და კაცთაგან დევნა და დაჩაგვრაო.

იქნება, ძმანო, ამის მნახველმა და გამგონემ შეუვიდეს თავში ეჭვი უზენაესის სიმართლეზედ და მართლ-მსაჯულებაზედ და იფიქროს, რომ, თუ მართლა ღმერთს უყვარს მართალი და ერთგული თვისი მოსამსახურე, რაღათ ჩააგდებს ხოლმე მას კაცთა უსამართლო ხელში?

მაგრამ, ქრისტეს მორწმუნენო მსმენელნო, ასეთი მსჯელობა და ასეთი ეჭვი და ფიქრი მარტო ჩვენ სულ მოკლეობისას ამტკიცებს; ასე სჭრის და ზომავს მარტო ჩვენი მოკლე გონება. მაგრამ თუ მსჯელობაში მივიღებთ თვით ღვთის განცხადებას და ღვთის სიტყვით გადავსჭრით სამართალს, მაშინ სრულებით გასაკვირველი, გასაოცარი და გაუგებარი არა გვეჩვენება იმ ცხოვრების მოვლენაში, რომელშიაც ვხედავთ, რომ მართალნი და ღვთის-მოყვარენი ითმენენ მრავალ გვარ შევიწროებათა,—და აი ასე გაშინჯეთ, აქ არამც თუ გასაკვირველი არა იქნება რა, არამედ ასეთი მათი უბედობა პირ-და-პირ მოსალოდნელი იქნება,—და ის იქნებოდა მართლა გასაოცარი, რომ მათ სხვა ბედი ჰქონოდათ ამ სოფლისაგან. ნუ გაგიკვირდებათ, ძმანო, როდესაც ხედავთ, რომ მართალნი ამ ქვეყანაში ითმენენ უსამართლობას: მოიგონეთ პირველი კაცის ცოდვით დაცემის საქმე, მოიგონეთ ის სიმტერე, რომელიც დაიდო დედა კაცის თესლის და გველის შუა, ე. ი. ის სიმტერე, რომელიც სუფევს ქრისტესა და მის მიმდევართა შორის,—ერთის მხრით, და ეშმაკის და შვილთა მისთა შორის,—მეორეს მხრით, ეს სიმტერე დაიწყო მაშინვე, როდესაც ბოროტი გესლი დაითესა ქვეყანასა ზედა; ეს სიმტერე სუფევდა მთელი კაცობრიობის არსებობაში და ასეთივე სიმტერე გაგრძელდება კეთილსა და ბოროტსა შორის, სიმართლისა და უსამართლობასა შორის დასასრულადმდე სოფლისა, «ვიდრემდის უფალმან არა დასხნეს მტერნი თვისნი ქვეშე ფერხთა თვისთა» (ფსალ. 109, 1). როდესაც მაცხოვარი უკანასკნელსა ღამეს ებაასებოდა თვისთა მოციქულთა და უწინასწარმეტყველებდა მათ, რომ იგინი ბევრს გაჭირებას გამოივლიან და ბევრს სოფლის დევნას შეხვდებიანო, ამ ნაირად აუხსნა ეს მათი უბედობა: «უკეთუ სოფელი გძულობს თქვენ, უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულა, უკეთუმცა სოფლისაგანნი იყვნეთ, სოფელიმცა თვისთა უყვარობდა; ხოლო თქვენ არა სოფლისაგანნი ხართ, არამედ მე გამოგირჩიენ თქვენ სოფლისაგან; სძულთ თქვენ ამისათვის სოფელსა; უკეთუ მე მდევნეს, თქვენცა გდევნეს. ყოველივე ესე გიყონ თქვენ სახელისა ჩემისათვის» (იოან. 15, 18—21). აი ამაზედ ამბობს თვით დავით ფსალმუნთ მგალობელიც: «შენთვის დავითმინე, უფალო, ყვედრება; უცხო ვექმენ მე ძმათა ჩემთა და სტუმარ ძეთა დედისა ჩემისათა, რამეთუ ყვედრებანი მაყვედრებელთა შენთანი დამეცნეს ჩემ ზედა. (ფს.. 68, 7—9).

მართლაცა ძმანო, მსგავსს მსგავსი უყვარს: ბოროტს ბოროტი უყვარს და სძულს მართალი. აბა მაჩინჯი და უსახიერო კაცი ჩაასვენე სარკეში და დაანახვე თავისი თავი, როგორ უსიამოვნოდ დარჩეს და შენი

სიმძულვარე ჩაიდოს. ასრეთვე ქრისტეს მორწმუნე და მართალნი და კეთილ მსახურნი თავიანთი უბიწო, უმანკო და წმიდა ცხოვრებით ცხადათ და აშკარად ჰკიცხვენ განხრწნილთა ზნეთა და უსჯულოებათა ამა სოფლისათა, რომელიც, მოციქულის სიტყვით, «მთლად ბოროტება-შია ჩაფლული (2 იოან. 5 19). ბოროტნი ისე დაბრმავებულნი არიან ამ თავისი სიბოროტით, რომ არამცთუ ბაძვენ მართალთა, არამედ შურისსვით ეჯავრებათ იგინი, მტერობენ და სდევნიან მათ; ცდილობენ ყოველ გზით, რომ რაიმე ფათერაკი, საფრთხე, უბედურება და შევიწროება მიაყენონ მათ. მაგალითად აიღეთ, ძმანო, თვით მაცხოვარი ჩვენი,—რამდენი უსამართლობა, საშინელი ტანჯვა და შევიწროება მიაყენეს მას ბოროტებით და შურით სავსე მღვდელთ-მთავართა და უფროსთა ერისათა! რისთვის მოიძულეს, ძმანო, მათ მაცხოვარი? მისთვის, რომ იგი თავის სამართლით ცხადივ აჩვენებდა მათ უსამართლობებას და უსჯულოებას, «სოფელსა ამას ვძულვარ, ეუბნებოდა მოციქულთა თვისთა, რამეთუ ვსწამე მისთვის, ვითარმედ საქმენი მისნი ბოროტ არიანო». (იოან. 7, 7.).

ამისთვის ნუ გაკვირდებათ, ქრისტეს მორწმუნენო, და ნუ მივეცემით სულ-მოკლეობას, თუ ჩვენც სიმართლის გულისათვის გამოვივლით მრავალს უსამართლობას და შევიწროებას. გვრწამდეს მტკიცეთ ჩვენი მაცხოვარი და ვიყვნეთ მისნი ერთგულნი მიმდევარნი და მოწაფენი, რომ არას დროს არ უღალატოთ იმ სიმართლეს და ჭეშმარიტებას, რომელიც მან გამოგვიცხადა თავის მოსვლით და რომლის გულისათვის ასეთი უსამართლო ტანჯვა, დევნა და თვით სიკვდილი თავს იდვა. ჩვენც მტკიცედ და შეურყეველად უნდა ვადგეთ მისგან გაკვლეულ გზას, გვიყვარდეს სიმართლე, ვიყვნეთ მხნენი და უშიშარნი; უსამართლოების ხილვის დროს ვიქონიოთ სულ-გრძელი მოთმინება, როდესაც გვეწვევა რაიმე უბედურება ამ ჩვენი ერთგულობის, და სამართლის სიყვარულისათვის მოთმინებითა, ქრისტიანენო, და მხოლოდ მოთმინებითა შევიძლიან «მოვიპოვოთ სული ჩვენი» (ლუკ. 21 19). გვახსოვდეს, რომ რომელმან იგი დაითმინოს სრულიად, იგი, და მარტო იგი—სცხონდების». (მათ. 24—13). ნუ დავივიწყებთ, ქრისტეს მორწმუნენო, რომ ეს მარტო ჩვენ თავზედ არ არის: ასრეთი და უფრო უარესიც ბედი სწვდა ამ ცრუ, უსამართლო და ბოროტით სავსე სოფლისაგან წმიდათა მოციქულთა და მრავალთა ქრისტეს მორწმუნეთა, განსაკუთრებით პირველ საუკუნოებში, როდესაც ახალი იგი ქრისტეს მოძღვრება და ნათელი მასი ეუბნოვათ «მსხდომარეთა ბნელსა შინა და არ ჩრდილთა სიკვდილისათა». ერთის მხრით, ძმანო, ეს მათი მაგალითი სრული და სულ-გრძელი მოთმინებისა იყვეს ჩვენი მანუგეშებელი ჩვენდამი უსამართლოების მოყენების დროს. მეორეს მხრით ნუგეშათ გვქონდეს თვით ქრისტე მაცხოვრის აღთქმა, რომ დევნულნი ამ სოფელში სიმართლისათვის საიქიოს დაიმკვიდრებენ ზეცის გამოუთქმელ ნეტარების სასუფეველს. მართალია, ქრისტეს მსახურნო, ამ მოკლე ხნის ჩვენ სიცოცხლეში ბევრს მწუხარებას და ნაღველს გამოვივლით, მაგრამ ამ ცოტა დროის ნაღველს—იმედი გვქონდეს მოჰყვება საუკუნო და დაუსრულებელის ცხოვრების ნეტარება. ეკლიანი გზა გვიდევს წინ, ქრისტიანენო, მაგრამ ამ გზის ბოლოს აღმართულია კარი სასუფეველის დიდებისა და ნეტარებისა. «ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ სასუფეველი ცათა». ვიყვნეთ, ძმანო, სულ-გრძელნი, ნაცვლად უკმაყოფილებისა, რომ ღმერთმან თავის სიმართლის გულისთვის მოგვივლინა მრავალ გვარი უბედურება და შევიწროება ამა სოფლისაგან, მივიღოთ სიმდაბლით, მოთმინებით და შვილური მორჩილებით ეს «ვაება მართალთა», ბოლომდის ავიტანოთ ყოველივე კაცთაგან დევნა და არ ვუღალატოთ სიმართლესა უფლისასა, სადიდებლად წმიდისა სახელისა მისისა და მოსაპოვებლად ჩვენი საკუთარი ნეტარებისა «დაუდამებელს მას ქრისტეს სასუფეველსა შინა».

გარდა ამისა, ქრისტეს მორწმუნენო, ყოვლად სახიერი ჩვენი ზეციური მამა თვით ამ ქვეყანაზედაც არ დაუტევებს უმოწყალოდ და უნუგეშოდ «მართალთა თვისთა», არ მიიყვანს უკანასკნელ განსაცდელამდის, რომელსაც ჩვენი სუსტი ბუნება ვერ აიტანს: ამ ჩვენ მწუხარებაში, ვაებაში და შევიწროებაში მისი სიმართლის გულისათვის იგი არ დაგვაგდებს მარტოდ, არამედ გარდმოგვივლენს მადლსა თვისსა, რომლისა შეწევნით ჩვენდამი მოყენებული მწუხარება, მწუხარებათ აღარ გვეჩვენება, ამიტომ რომ ეს ზეციური მადლი მოგვმატებს ერთი ათად ძალას და შეძლებას, რომ ბოლომდის უძლოთ ქვეყნიურ უსამართლოებას და კაცთა მიერ დევნას, «რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემაძრწუნებ მე, ესევდ ღმერთსა (ფსალ. 41. 6), რამეთუ მან გიხსნას შენ საფრხისა მისგან მონადირეთასა (ფსალ. 90, 3.); ხადე უფალსა ხელის აღმპყრობელი ჩემი ხარი შენ და შესავედრებელი ჩემი, ღმერთი ჩემი და მე ვესავ მას (ფსალ. 90, 2); ხადე მას დღესა ჭირისა შენისასა და მან გიხსნას შენ (ფსალ. 49, 15). რამეთუ ახლოს

არს უფალი ყოველთა, რომელნი ხადიან მას, მას ჭეშმარიტებითა (ფსალ. 148, 18) მივედ მისდა მაშვრალო და ტვირთ მძიმეო და ის განგისვენებს შენ» (მათ. 11, 28). ამინ.

არქიმანდრიტი მაკარი.

## საეჭვო კითხვების განმარტება.

მღვდელთა საყურადღებოდ.

ერთი პატივცემული სასულიერო პირი ამას წინეთ მოიქცა ჩვენდამი შემდეგი კითხვით: «შეუძლია თუ არა თეთროსან სამღვდელოების პირს, რომელსაც მიტრა აქვს ნაბოძები, მღვდელ-მოქმედების დროს დადგეს არქიმანდრიტის წინ?»

რამდენათაც გვახსოვს, ამ კითხვის შესახებ არავითარიმე განმარტება არ არის საეკლესიო კანონებში; აგრეთვე არც უწმიდესი სინოდის უქაზით უნდა იყოს ეს კითხვა განმარტებული, რამდენათაც გვახსოვს. მაგრამ ის წესი, რომელზედაც ადგია რუსეთის მოწინავე სამღვდელოება, რასაკვირველია, სახელმძღვანელოა ჩვენთვისაც. წარსულს წელში, 6 მაისს ჩვენ დავესწარით ღვთის-მსახურების დროს მოსკოვის კრემლის მიძინების ტაძარში, ამავე თვის 9 დავესწარით პეტერბურგში ალექსანდრო-ნეველის ტაძარში და 15 მაისს ისაკიევის ტაძარში და ყველგან იმ დეკანოზების წინ, რომელთაც მიტრა აქვსთ და დიდი ადგილები უკავიათ სასულიერო წოდებაში, იდგნენ არქიმანდრიტები, რომელნიც, მაინც-და-მაინც, სამსახურში არავითარიმე განსხვავებული ნიშნებით არ იყვნენ შესანიშნავნი.

აქედამ ცხადია ყველასათვის, რომ თეთროსან სამღვდელო პირს, მიტრის მქონებელს, არა აქვს უფლება დადგეს არქიმანდრიტის წინ.

რედაქტორი.

## სამეცნიერო, საექიმო და ცხოვრებაში გამოსადეგი ცნობები.

თუ გვსურს, რომ რძე რამდენიმე თვის განმავლობაში შევინახოთ, უნდა გავავსოთ ბოთლები რძით, მაგრად დავუცოთ პრობკებით თავი, გადავფისოთ ისინი და შემდეგ ეს ბოთლები უნდა ჩავაწყოთ ადუღებულს წყალში და გავაჩეროთ მასში თვრამეტი წამი. მერე უნდა ამოვიღოთ და შევინახოთ. რამდენიმე თვის შემდეგ ამ ნაირად შენახული რძე ისეთი იქნება, როგორც ახლად გამოწველილი.

—

დამწვარის წამალი. დამწვარს ადგილას უნდა წაუსვათ კარგად ყოველ 15 წამის განმავლობაში გლიცერინის ზეთი, რომელიც აფთიაქში იყიდება. ეს საშუალება უნდა ვიხმაროთ ორი საათის განმავლობაში. ამის შემდეგ ტკივილი სრულიად მოისპობა.

—

ვისაც მუდამ ახველებს, იმან უნდა იხმაროს შემდეგი საშუალება: ყოველ დღე მაუდის ნაჭრით უნდა გაიმშრალოს გული და ზურგი, შემდეგ ამ ადგილებზე უნდა წაისვას მაუდით უმარილო ღორის ქონი, ანუ თხელი ერბო; ამასთან კარგია თუ ქონს და ერბოს მიუმატებთ ცოტაოდენს ფიჭვის ზეთს (აფთ. იყიდება).

—

როცა სხეულის რომელიმე ნაწილში ტეხას ანუ ძლიერ ტკივილსა ვგრძნობთ, მაშინ იმ ადგილს უნდა მოვაყაროთ გოგირდი და მაგრათ დავზილოთ იგი. შემდეგ უნდა ეს ადგილი შევახვიოთ ფანელით.—ტკივილს მალე სპობს აგრეთვე, როცა ნიშადურის სპირტს, ფიჭვის ზეთში შერეულს, წაუსვამთ იმ ადგილს, სადაც გვტეხავს.

## შეწირულებანი.

ბლაღოჩინის მღვ. იოსებ წერეთლისაგან ჩვენ მივიღეთ თერთმეტი მანეთი, რომელიც მას შეუკრებია თავის საბლაღოჩინოს სამღვდელოებაში ქალაქის ვერნის დაზიანებულ მცხოვრებთა სასარგებლოდ. ეს ფულები ჩვენ მიერ დანიშნულებისამებრ გაიგზავნა ტურკესტანის ეპისკოპოსს სერაფიმთან.

## რედაქციის პასუხი.

**ზუგდიდს.** ნ. ა. შ—ის. ყველა გუჯრების დაბეჭდვა არ შეიძლება და არც საინტერესონი არიან.

**ახალ-სენაკს.** მღვ. ა. ყურუას. ჩვენც ძლიერ ვსწუხვართ, რომ აგრე უწესოთ იღებთ ჟურნალს. ამ წლიდამ თქვენს სახელზედ ვგზავნით ახალ-სენაკში. თქვენი კითხვა მრავალ ჯერ იყო აღსნილი და განმარტებული. თქვენ ნუ უყურებთ თქვენს წინა-მოადგილეს, ისე მოიქეცით, როგორც წესი და რიგი ითხოვდეს.

**ბ. ი. ბვე—ს.** თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება. მიზეზების მოყვანა შორს წაგვიყვანს.

**ვარძიას.** მ. კ—ს. მამულში არა ხართ? ნუ თუ ის ადგილი, სადაც თქვენ სცხოვრობთ, უცხოეთად მიგაჩნიათ, ან იმ ხალხს, რომელიც თქვენს გარშემოა, სხვა თემად სთვლით? ქართველი, კახელი, იმერელი, გურული და მეგრელი მარტო გაზ. «Кавказъ»-ს მიაჩნია სხვა თემებად. ჩვენ გვიკვირს, რომ ეს გაზეთი იმერლებს მარტო ერთ თემად რაცხს და შორაპნელები, რაჭველები, ქუთათურები და ხონელები სხვა-და-სხვა თემად არ ჩარიცხა!... ამასაც უნდა მოველოდეთ!... თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

**მღ. მ. იო-ვას.** თანაგიგრძნობთ, მაგრამ თქვენი კითხვა ისეთი კითხვა არის, რომ წერით არა გამოვა რა, თუ საქმით არ ეცადა სამღვდელოება და დრამის მოკრების საქმე სხვანაირად არ მოაგვარა.

**ლ. ჩ—ძეს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**რ. ს—ძეს.** «აკურთხევდით თქვენს მაწყევარსაცაო», ბრძანებს სახარება, ქვეყნის მკვიდრთა მავნე პირნი თქვენდა გადუცებლადაც დაისჯებიან და უბედურებაში შთავარდებიან...

მიიღება ხელის-მოწერა 1888 წლისათვის ორკვირეულ გამოცემებთ ქართულს

„მწყემსზედ"

და რუსულ «ПАСТЫРЬ» ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთ ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

ფასი გაზეთისა:

| | |
|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» 5 მ. | 6 თვით «მწყემსი» 3 მ. |
| — „ ორივე გამოცემა 6 » | — „ ორივე გამოცემა 4 » |
| — „ რუსული „ 3 მ. | — „ რუსული „ 2 მ. |

წერილების გაგზავნა და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში, რედაქტორის საკუთარს სახლებში და ქუთაისში რედაქციის სტამბის კანტორაში ნემეცის ქუჩაზე, ხანანაშვილის სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით; **Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ" (пастырь).** ყვირილაში, „მწყემსი"-ს რედაქციაში.

შინაარსი: ახალი წელი.—იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა მე 25 კრება ქალაქ ქუთაისში.—ბაღდათიდამ.—წერილი რედაქტორთან.—ლექსი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—პირველი სიტყვა, თქმული სიონის საკათედრო ტაძარში მაღალ ყოვლად სამღვდელოის, საქართველოს ეგზარხოსის პავლესაგან.—მომღვრება სახარების ცხრა ნეტარებაზედ.—მღვდელთა საყურადღებოდ.—საქმით და ცხოვრებაში გამოსადეგი ცნობები.—შეწირულებანი.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 1888 г. 9 Января.*

საკუთარი მსწრაფლ-მბეჭდავი რედაქციისა.